ოქმი:**ო37. 3723187001**

თარიღი:**06/07/2023**

ოქმი N 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2023 წელი, 5 ივლისი

ქ. ოზურგეთი

11.00 -12 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და ტ. არუშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, შ. თავდიშვილი, თ. გოგუაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ნ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. ბოლქვაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 36-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 36-ხმით. საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა დაიწყო განცხადების გაკეთება თითქოსდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პრობლემებზე, კერძოდ კურორტ ურეკში საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის, სანიაღვრე არხების გაწმენდის, სახნავ-სათესი ფართობებისა და ეზოების დატბორვის და სხვა, რასაც

მოჰყვა ხმაური, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ მიმართა კოლეგას დაეცვა რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურები, სხდომის დღის წესრიგი - განცხადება გაეკეთებინა საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ. თ. ნიკოლაშვილმა მაინც გააგრძელა განცხადების გაკეთება, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ სიტყვიერად, ოქმში შეტანით გააფრთხილა იგი, რომ დაატოვებინებდა სხდომათა დარბაზს. მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ მოკლედ, გააცნო მუნიციპალიტეტის მოსახლეობასა და თ. ნიკოლაშვილს ის სამუშაოები, რომელიც განახორციელა მუნიციპალიტეტის მერიამ კურორტ ურეკის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის და აღნიშნა, რომ რადიკალური ოპოზიცია ეწევა იაფფასიან პროვოკაციას მომხრე მედია საშუალებებთან ერთად.

დღის წესრიგი

44.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 26.26.57.389) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36 - ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

16.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

ქეთევან ხომერიკი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36- ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა დ. მდინარაძემ განაცხადა, რომ საურველია დადგენილებაში ჩაიწეროს „18-წლამდე“. საკრებულოს წევრმა ს. ქარცივაძემ დასვა შეეკითხა -რეაბილიტაცია გულისხმობს სახელმწიფოს დაფინანსებას? განუმარტეს, რომ ეს რეაბილიტაცია განხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტით.

45.3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მომსახურების ცენტრი“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36 - ხმით

46.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36- ხმით

17.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36- ხმით

47.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ნარუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (ს.კ. 26.27.07.005), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების უკვდავსაყოფად მემორიალური ობიექტის განთავსების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36 - ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

7. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ ნასაკირალი-ძიმითის უღელტეხილის ტერიტორიაზე უპატრონო ძაღლების თაობაზე განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა თ. გოგუაძემ. აღნიშნა, რომ ტერიტორიაზე მუდმივად არის 25 ძაღლი, რომლებიც პრობლემებს უქმნიან მოსახლეობას და ტრანსპორტს, მიმართა შესაბამის სამსახურს, მაგრამ უპასუხეს, რომ ცხოველებს ერთად ვერ გაიყვანენ, ეტაპობრივად გაჰყავთ და უტარებენ კასტრაცია-სტერილიზაციას, მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განუმარტა, რომ ბიუჯეტი ამ სამუშაოებს აფინანსებს 45 ათასი ლარით, კონტრაქტორი ორგანიზაცია ეტაპობრივად აწარმოებს 350 მიუსაფარი ძაღლების კასტრაცია-სტერილიზაციას, ცხოველები გაცილებით მეტია, ახლა მზადდება საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარებას, ასევე მოუწოდა, რომ ამ პროგრამის დაფინანსების პროცესების თაობაზე საკუთარ თანაფრაქციელს- თ. ნიკოლაშვილს განუმარტოს- ამ მიმართულებით აუცილებელია დაფინანსების არსებობა, მეტიც, საჭიროა მეტი რესურსების მობილიზება და, აქედან გამომდინარე, მოუწოდოს თ. ნიკოლაშვილს, რომ ამ საკითხზე იაფასიანი სიუჟეტების და პიარის წარმოებას ნუ ეცდება.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი